სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
390.050.000.12.212.005.592

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის

ბრძანება №10/160

2002 წლის 4 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის გადაცემის წესის შესახებ"დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის" (მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს №2124–II–ს) XXXV თავის 116-ე მუხლის „დ" „გ" ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების უზრუნველსაყოფად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება „სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესის შესახებ".
2. დაევალოს დეპარტამენტის პარლამენტთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს (ბატონი ნ. ბურდული) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. დვალი

დებულება

„სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესის შესახებ"

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც და რომლის შესასრულებლადაც გამოიცა დებულება

ეს დებულება მომზადებულია საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის" (1999 წელი 22 ივნისი №2124 II ს) 116-ე მუხლის „დ"„გ") ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით.

მუხლი 2. დებულების რეგულირების საგანი

ეს დებულება არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციისა და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროში.

მუხლი 3. დებულების მოქმედება სივრცეში

1. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის (სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის, მათ შორის, ადგილობრივი ტყის ფონდის ჩათვლით, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების) ტყეებთან მიმართებაში.

2. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო ტყის, ასევე საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის ყველა კატეგორიების (სატყეო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სხვა არასატყეო და სპეციალური დანიშნულების, გამოუყენებელ) მიწებთან და მათ რესურსებთან მიმართებაში.

3. ამ დებულების მოქმედება ასევე ვრცელდება ტყეებზე, რომლებიც მიჩენის მიზნით გადაცემული აქვთ მმართველ სუბიექტებს.

მუხლი 4. კანონმდებლობის სისტემა სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროში

კანონმდებლობის სისტემა სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს ტყის კოდექსის", „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონების, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 5. დებულების მიზნები და ამოცანები

1. ამ დებულების მიზანს წარმოადგენს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტში სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ბანკის შექმნა სატყეო პოლიტიკის სწორი და ეფექტური წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების დადგენა, მათი უფლება-ვალდებულებების განსაზღვრა, აგრეთვე ინფორმაციის იმ სახეობებისა და მათი მოცულობების (პარამეტრების) დადგენა, რომლის გადაცემა სავალდებულოა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის.

2. ამ დებულების ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროს სამართლებრივი რეგულირება.

თავი II

კომპეტენციათა გამიჯვნა სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

მუხლი 6. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

1. სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროს ზედამხედველობა და კონტროლი

ევალება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს, აგრეთვე ამავე დეპარტამენტის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სატყეო პოლიტიკის სწორი და ეფექტური წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი განსაზღვრავს მიღებული ინფორმაციის გადამუშავების, შესწავლის განზოგადების და მის გამოყენებასთან დაკავშირებულ ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 7. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

1. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით „საქართველოს ტყის კოდექსით", "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებით საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო დეპარტამენტის) კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ბანკის შექმნაში მონაწილეობის მიღება;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ გადასაცემი ინფორმაციის მოპოვების დამატებითი ღონისძიებისათვის მათ მიერ გამოყოფილი მიზნობრივი თანხების ხარჯვის კონტროლი;

გ) სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ბანკთან და მის წარმოებასთან დაკავშირებით წინადადებების წარდგენა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის;

დ) სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 8. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

1. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", „საქართველოს ტყის კოდექსით", „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ", საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებით საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების (მათ შორის, მათი შესაბამისი სამსახურების) კომპეტენციებს განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ბანკის შექმნაში მონაწილეობის მიღება; ადგილობრივი ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის გზით;

ბ) ადგილობრივი ტყის ფონდის შესახებ გადასაცემი ინფორმაციის მოპოვების ღონისძიებისათვის მათ მიერ გამოყოფილი მიზნობრივი თანხების ხარჯვის კონტროლი;

გ) საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ბანკთან და მის წარმოებასთან დაკავშირებით წინადადებების წარდგენა;

დ) სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 9. საქართველოს საპარტირაქოსა და სახელმწიფო დაწესებულებათა, როგორც მიჩენილი ტყეების მმართველი სუბიექტების კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

საქართველოს საპატრიარქოსა და სახელმწიფო დაწესებულებებზე, როგორც მიჩენილი ტყეების მმართველ სუბიექტებზე, ამ დებულების მოთხოვნები ვრცელდება სრულად, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სფეროში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სხვა სუბიექტებზე.

თავი III
ძირითადი სადებულებო მუხლები

მუხლი 10. სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის სუბიექტები

1. ინფორმაციას სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარუდგენენ:

ა) სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები (ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ჩათვლით), აგრეთვე „საქართველოს ტყის კოდექსის" შესაბამისად სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ;

ბ) საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული ადმინისტრაციები (შესაბამისი კატეგორიების მიხედვით). მათ შორის: სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების ადმინისტრაციები;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები (ის შესაბამისი სამსახურები, რომლებიც შექმნილია და ფუნქციონირებს "საქართველოს ტყის კოდექსის" მე –13 და მე -16 მუხლების მიხედვით);

დ) „საქართველოს ტყის კოდექსის” მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებული და შესაბამისად საამისოდ უფლებამოსილი იურიდიული პირები;

ე) საქართველოს საპატრიარქო და სახელმწიფო დაწესებულებები, როგორც მიჩენილი ტყეების მმართველი სუბიექტები;

ვ) ტყითმოსარგებლეები რომლებსაც ხანგრძლივი (ერთ წელზე მეტი ხნის ვადით) პერიოდის ვადით გააჩნიათ „საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული ლიცენზია და/ან ხელშეკრულება;

ზ) სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებსაც გააჩნიათ ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ.

მუხლი 11. სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესი

1. ამ დებულების მე-10 მუხლის პუნქტში მითითებული სუბიექტები ვალდებულნი არიან სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს ინფორმაცია გადასცენ იმ მოცულობით (პარამეტრებით) და იმ პერიოდულობით, რომელსაც ადგენს ეს დებულება.

2. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ წარედგინება წერილობითი სახით. საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული და კომპიუტერული საშუალებებითაც.

მუხლი 12. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ გადასაცემი ინფორმაციის სახეები, მოცულობები, პარამეტრები

1. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს ამ დებულებით მე-10 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები მათ გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის კატეგორიების გათვალისწინებითა და მიწების მიხედვით გადასცემენ ინფორმაციას (მონაცემებს):

ა) ტყის მოვლის, დაცვის აღდგენის უკვე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია (დადგენილია) ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის დოკუმენტებით;

ბ) უკვე განხორციელებული ან მიმდინარე ტყეთსარგებლობის ყველა სახეობების, ქვესახეობებისა და მათი განხორციელების პარამეტრების შესახებ;

გ) გაცემული ბილეთებისა და დადებული ხელშეკრულებების რაოდენობისა და მათი პარამეტრების შესახებ (მათ შორის, მონაცემები ამ დოკუმენტების შეზღუდვის, შეჩერებისა და შეწყვეტის ფაქტების შესახებ);

დ) ტყითსარგებლობის გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ;

ე) ტყის მოვლის დაცვის აღდგენისა და გამოყენების წესების დარღვევის საქმეებზე სასამართლო საქმისწარმოების პრაქტიკის (დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელების ან/და შეფარდებული სისხლის სამრთლებრივი სანქციები, გარემოზე (ტყეზე) მიყენებული ზიანის ანაზღაურების, უკანონოდ მოპოვებული ტყის რესურსის ჩამორთმევის) შესახებ;

ვ) ტყის რესურსების („საქართველოს ტყის კოდექსის” მიხედვით ტყის რესურსად მიჩნეული ყველა კონკრეტული მატერიალური და არამატერიალური სიკეთის) ეკონომიკური შეფასების შესახებ;

ზ) მათ მიერ წარმოებული მონიტორინგის (ტყის ფონდის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემის) შესახებ;

თ) „გარემოსდცითი ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირველი და მეორე კატეგორიის საქმიანობაზე მათ მიერ მიღებული გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;

ი) ტყის ფონდის სარგებლობის შესახებ, რომელიც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით ხორციელდება სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის შესახებ „საქართველოს ტყის კოდექსის" მოთხოვნათა განხორციელებამდე.

2. მონაცემები "საქართველოს ტყის კოდექსის" მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების (ტერიტორიული ორგანოების), აგრეთვე მათთან შეთანხმებით, უფლებამოსილი იურიდიული პირების მიერ წარმოებული კადასტრის (ტყის ფონდის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლების) შესახებ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცემა დამოუკიდებელი ინფორმაციის სახით.

3. მონაცემები „საქართველოს ტყის კოდექსის" მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების (ტერიტორიული ორგანოებს) მიერ განხორციელებული ტყეთმოწყობის და მისი მასალების შესახებ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცემა დამოუკიდებელი ინფორმაციის სახით.

4. მონაცემები "საქართველოს ტყის კოდექსის" 27-ე მუხლით გათვალისწინებული ტყეთმოწყობის ღონისძიებების შესახებ საქართველოს სატყეო დეპარტამენტს გადაეცემა დამოუკიდებელი ინფორმაციის სახით.

5. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს „საქართველოს ტყის კოდექსის" მოთხოვნებისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს ამ დებულების მე –10 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებზე გასცეს დამატებითი დავალებები (მითითებები) სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ მისთვის გადასაცემ ინფორმაციის სახეებთან, მოცულობებთან და პარამეტრებთან დაკავშირებით.

მუხლი 13. სახლმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის პერიოდულობა

1. სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის პერიოდულობას წარმოადგენს:

ა) სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოებისათვის (ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ჩათვლით) სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მათთვის დადგენილი პერიოდულობით, რაც აისახება სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ (ყოველთვიურ და ყოველკვარტალურ) და გრძელვადიან სამუშაო გეგმებში;

ბ) საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული ადმინისტრაციებისათვის (შესაბამისი კატეგორიების მიხედვით), მათ შორის: სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, აღკვეთილის, დაცული ლანდშაფტის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაციებისათვის – ყოველკვარტალურად;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისათვის (შესაბამისი სამსახურებისათვის, რომლებიც შექმნილია და ფუნქციონირებს "საქართველოს ტყის კოდექსის" მე-13 და მე-16 მუხლების მიხედვით) – ყოველკვარტალურად;

დ) „საქართველოს ტყის კოდექსის" მე-15 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებულ ორგანოებთან შეთანხმებით უფლებამოსილი იურიდიული პირებისათვის – იმ პერიოდულობით, რაც დაკავშირებულია მათ მიერ „საქართველოს ტყის კოდექსის" მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე დელეგირებული ფუნქციების განხორციელების კონკრეტულ შემთხვევებთან;(აიმ)

ე) საქართველოს საპატრიარქოსა და სახელმწიფო დაწესებულებისათვის, როგორც მიჩენილი ტყეების მმართველი სუბიექტებისათვის – ყოველკვარტალურად;

ვ) ტყით მოსარგებლეებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი (ერთ წელზე მეტი ხნის ვადით) პერიოდის ვადით გააჩნიათ "საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული ლიცენზია და/ან ხელშეკრულება - იმ პერიოდულობით, რაც დადგენილია მათზე გაცემული ლიცენზიების ან მათთან დადებული ხელშეკრულების კონკრეტული პირობებით. (შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მათზე გაცემული ლიცენზიების ან მათთან დადებული ხელშეკრულების კონკრეტული პირობები განსხვავდება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან, გამოიყენება ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის გადაცემის პერიოდულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები).

2. მონაცემები "საქართველოს ტყის კოდექსის" მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების (ტერიტორიული ორგანოების), აგრეთვე მათთან შეთანმხებით, უფლებამოსილი იურიდიული პირების მიერ ნაწარმოები კადასტრის (ტყის ფონდის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლების) შესახებ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცემა იმ პერიოდულობის მიხედვით, რაც დაკავშირებულია ტყის კადასტრის წარმოების პროცესთან ინფორმაციის დაგროვების და მისი გადასაცემად ეტაპობრივად მომზადების თვალსაზრისით.

3. მონაცემები "საქართველოს ტყის კოდექსის" მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების (ტერიტორიული ორგანოების) მიერ განხორციელებული ტყეთმოწყობის და მისი მასალების შესახებ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცემა იმ პერიოდულობის მიხედვით, რაც დაკავშირებულია ტყეთმოწყობის და მისი მასალების დაგროვების და მის შესახებ ინფორმაციის გადასაცემად მომზადებასთან.

4. მონაცემები „საქართველოს ტყის კოდექსის" 27-ე მუხლით გათვალისწინებული ტყეთმოწყობის ღონისძიებების შესახებ საქართველოს სატყეო დეპარტამენტს გადაეცემა თითოეული მათგანის დამთავრებიდან (განხორციელებიდან) არა უგვიანეს ათი დღისა.

5. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს (შესაბამის შემთხვევებში – მის ტერიტორიულ ორგანოებს, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო დეპარტამენტებს) უფლება აქვს ამ საკითხებზე წინამდებარე დებულების მე-10 მუხლით განსაზღვრულ სუბიექტებს მიუთითონ წარსადგენი ინფორმაციის სახისა და მისი მოცულობის კორექციასთან (შესწორებები, დამატებები) დაკავშირებით, ამ დებულების პრინციპების გათვალისწინებით.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. დებულებაში ცვლილების და დამატებების შეტანა

ამ დებულებაში ცვლილებები და /ან დამატებები შეიტანება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. პასუხისმგებლობა დებულების მოთხოვნათა დარღვევისათვის

ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.